



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

8ემო შუახევის არქეოლოგიური ძეგლები

8ემო შუახევის არქეოლოგიური ძეგლები, გვიანდელი ბრინჯაოს-ადრინდელი რკინის ხანის არქეოლოგიური მასალა. აღმოჩენილია სოფ. 8ემო შუახევში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სხვადასხვა დროს. 1928 შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს (ან სპილენძის) კასრში ჩაწყობილი ბრინჯაოს ნივთების განძი - 16 ზოდი და ზოდის ნატეხები, მაღალტანიანი ხელეჩო (ან თოხი), ლაგმის ფრაგმენტი. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჭანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. 1968 სოფელში ნაპოვნია საკინძები, კერამ. ჭურქლის ნატეხები და ბრინჯაოს სამაჯური, ასეთივე ანალოგიური სამაჯური აღმოჩენილია კახეთში, გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ერნოს სამარხეულ კომპლექსში. სოფელში ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს 2 ზარაკი (გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანა) და მშვიდლდსაკინძი. 1974 სადაზვერვო გათხრების დროს (ხელმძღვ. ლ. წითლანაძე) სოფლის ჩრდ-ით გამოვლინდა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის გორანამოსახლარი. კულტ. ფენები დაზიანებულია. შემორჩენილია ღია ფერის ალიზით კედლის შელესილობის კვალი. ნაპოვნია კერამ. ჭურქლის ფრაგმენტები. გორანამოსახლარზე აღმოჩნდა აგრეთვე გვიანდ. ფეოდ. ხანის ჩამოვალი სამარხი. არქეოლ. მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. ბაზაზე.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ., 1965;
წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე ლ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება დუშეთის რაიონში 1969 წ., კრ.:
არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971.

ლ. წითლანაძე